

ჩაერთეთ პრეისტორიული ადამიანისა და პალეოგარემოს კვლევით პროექტში

პრეისტორიული ადამიანი და პალეოგარემო



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი იწყებს საქართველოს მღვიმე-გამოქვაბულებისა და ღია ტიპის ძეგლების კომპლექსურ კვლევით პროექტს - ადამიანთა და ცხოველთა სამყაროს ადაპტაციები ძველი ქვის ხანიდან დღემდე გარემოსა და კლიმატურ ცვლილებებთან მიმართებაში საქართველოს მღვიმე-გამოქვაბულებისა და ღია ტიპის ძეგლების კომპლექსური კვლევის საფუძველზე.

პროექტის მიზანია:

- მულტიდისციპლინური მეთოდებით (არქეოლოგია, პალეონტოლოგია, პალეობოტანიკა, გენეტიკა და სხვ.) ადამიანისა და გარემოს, კლიმატის ცვლილებებთან ერთად ადამიანის ადაპტაციის შესწავლა მღვიმეებისა და ხელოვნური გამოქვაბულების კვლევის საფუძველზე;
- მღვიმეებში ადამიანის ბინადრობის ყველა ეპიზოდის მულტიდისციპლინარული შესწავლა-მღვიმის "ისტორიის" რეკონსტრუქცია;
- მღვიმეებში ადამიანის ცხოვრების ყველა ეპოქის (ძველი ქვის ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით) პალეოგარემოს რეკონსტრუქცია და ამ გარემოსთან ადამიანების ადაპტაციების კვლევა;
- ღია ტიპის სტრატეგიცირებული პალეოლითური ძეგლის აღმოჩენა, ან დადგენა, რომელთა რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე ერთეულით.

კვლევები ჩატარდება რამდენიმე მიმართულებით :

- *ტოპოგრაფია და გეოსაინფორმაციო სისტემები*
- *გეომორფოლოგია*
- *საძიებო გეოფიზიკური კვლევები*
- *არქეოლოგიური და ზეგრეგები მიმდებარე ტერიტორიაზე და არსებული მონაცემების გამდიდრება*
- *არქეოლოგიური გათხრები*
- *გენეტიკური კვლევები*

- ფოტოგრაფია და ლაზერული სკანირება, ფოტოფიქსაცია
- ვირტუალური 3D მოდელის რეკონსტრუქცია
- დათარიღება
- პალეოსეისმოლოგიური კვლევები (სიახლე)

პროექტი არის მულტიდისციპლინური და მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერი ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლებს, საბაკალავრო, სამაგისტო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც გაერთიანდებიან კვლევების თემატიკის მიხედვით.

თუ ხართ დაინტერესებული ჩაერთოთ აღნიშნულ კვლევაში; ან გაქვთ იდეა, თუ როგორ და რა თემით მოხდება თქვენი ჩართვა პროექტში და გაგაჩნიათ საკმარისი მოტივაცია, გთხოვთ შეავსოთ თანდართული აპლიკაცია.

https://docs.google.com/forms/d/1zctH_20EEst_1IUvI7WwL2fq2jRbgi5sTsGseFvmK9c/viewform

აპლიკაციის შევსების ბოლო ვადაა 2013 წლის 20 მაისი.

პროექტის სრული აღწერა შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ ფაილში.

გისურვებთ წარმატებებს!